პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში“ - ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

1. შევიდეს ცვლილებები და დამატება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი №5) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის დებულებაში“:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. აპარატი უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ გამართულობას“.

ბ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 3. აპარატის მუშაობის წესი
1. აპარატი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც სხდომის ჩატარებამდე 2 სამუშო დღით ადრე გადასცემს სადისერტაციო საბჭოს წევრებს.
2. აპარატი კონტროლს უწევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ დისერტაციის შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ფაკულტეტების მიერ სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომისა და დაცვის დოკუმენტაციის გადაცემის, ასევე, შესაბამის ელექტრონულ სივრცეში PDF ფაილების სახით განთავსების ვალდებულების შესრულებას.
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვის შემდეგ აპარატი ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას 10 სამუშაო დღის ვადაში უბრუნებს შესაბამის ფაკულტეტს“.

გ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. აპარატის სამდივნო შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების წარმომადგენლებისგან, რომელთაც აპარატის უფროსს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანი“.

დ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:
„5. აპარატის უფროსის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს აპარატის სამდივნოს წევრი, აპარატის უფროსისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შეთანხმების საფუძველზე.

6. აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულების დანიშვნის თაობაზე აპარატის უფროსის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება“.

ე) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. აპარატის ხელმძღვანელობა

1. აპარატის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს აპარატის საქმიანობას;

ბ) განსაზღვრავს აპარატის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს სადისერტაციო საბჭოს დავალებებს;

დ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით აპარატისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით წარუდგენს წინადადებებს სადისერტაციო საბჭოს ან/და ადმინისტარციის ხელმძღვანელს;

ე) კონსულტაციას უწევს აპარატის სამდივნოს წევრებს;

ვ) ხელს აწერს მის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ) წარადგენს ანგარიშს აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს სადისერტაციო საბჭოს დავალებით;

თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. აპარატის სამდივნო:

ა) აპარატის უფროსს გადასცემს თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას და ასევე განათავსებს შესაბამის ელექტრონულ სივრცეში PDF ფაილების სახით დისერტაციის შეფასებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვის შემდეგ აპარატის უფროსისგან 10 სამუშაო დღის ვადაში იბარებს თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას“.